

საქართველო

მაკრო მიმოხილვა

გამოცემა 3



Research

2023

[www.pmcresearch.org](http://www.pmcresearch.org)

**ძირითადი მიგნებები**



**2022 წლის მოულოდნელი ზრდა**

ძირითადი მაჩვენებლები



**ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი**

BAG ინდექსი: საქართველოს ბიზნეს კლიმატი

Ifo ინდექსი: საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



**ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები**

მთლიანი შიდა პროდუქტი

ინფლაცია და ფასები

საერთაშორისო რეზერვები & მონეტარული პოლიტიკა



**შრომის ბაზარი**

დასაქმება

ხელფასები

ვაკანსიები

ბევერიჯის მრუდი



**საგარეო სექტორი**

ვაჭრობა

ტურიზმი

მიგრაცია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ფულადი გზავნილები



**გლობალური ეკონომიკური ტენდენციები**

ზრდის შენელება



**2023 წლის ეკონომიკური ზრდა**

მოლოდინი 2023 წლისთვის

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - ძირითადი მაჩვენებლები





# ძირითადი მიგნებები

- 2022 წელმა მსოფლიო ეკონომიკაში **ქაოსი** გამოიწვია. თავდაპირველად, მოსალოდნელი იყო უარყოფითი ეფექტები საქართველოსთვისაც.
- თუმცა, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა 2022 წელს **მოსალოდნელზე მეტად გაუმჯობესდა** და 2022 წელს რეალური ეკონომიკა 10%-ით გაიზარდა.
- მიგვაჩნია, რომ ამ ზრდას, შესაძლოა, განაპირობებდეს შემდეგი ერთჯერადი ფაქტორების ერთობლიობა:
  - **მიგრანტების** მნიშვნელოვანი შემოდინება რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან.
  - რუსეთიდან **ფულადი გზავნილების** რეკორდულად მაღალი შემოდინება.
  - დაბალი საბაზისო ეფექტი 2021 წელს **ტურიზმის** მხოლოდ ნაწილობრივი აღდგენის გამო და ასევე, 2021 წლის იანვარში და თებერვალში ჩაკეცივის და მკაცრი შეზღუდვების გამო.
  - **ექსპორტზე** დადებითად აისახა გარკვეულ საქონელზე მოთხოვნისა და ფასების ზრდა.
- მიუხედავად ორნიშნა ზრდისა, საქართველოს ეკონომიკაში რჩება შემდეგი გამოწვევები:
  - 2022 წლის საშუალო **ინფლაცია** (11.9%) 1999 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.
  - მიუხედავად ყველაზე დაბალი მაჩვენებლისა\*, **უმუშევრობის დონე** კვლავ მაღალია, პარალელურად კი **15+ მოსახლეობის რაოდენობა** საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად ჩამოცდა 3 მილიონიან ნიშნულს.
  - **შრომის ბაზრის** ეფექტურობა პრე-პანდემიურ პერიოდთან შედარებით გაუარესებულია, შედეგად კი კომპანიებს ახალი თანამშრომლების მოძიება უჭირთ.
- რეგიონში შექმნილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ ახალი მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს ე.წ. „**შუა დერეფანში**“ მონაწილეობით, რაც საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობების წყარო გახდა.
- მიუხედავად მიმდინარე ეკონომიკური ზრდის ერთჯერადი ხასიათისა, საქართველოში **ბიზნესი** საკმაოდ **ოპტიმისტურად** არის განწყობილი მომავლის მიმართ და ეკონომიკის ხელახალი გახსნის შემდეგ (2021 წლის I კვარტლიდან) ყოველკვარტალურად იმ კომპანიების წილი, რომლებიც ქირაობენ ახალ თანამშრომლებს, იზრდება. ბიზნესისთვის ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად რჩება მარეგულირებელი გარემო და სასამართლო სისტემა.
- რაც შეეხება 2023 წელს, საქართველოში მოსალოდნელია **ზრდის შენელება** (დაახლოებით 5%-მდე), მსოფლიო მასშტაბით ზრდის შენეებისა და **ერთჯერადი ფაქტორების გაქრობის** მოლოდინების ფონზე. მზარდი გლობალური ინფლაცია, ისევე როგორც გლობალური რეცესიის მზარდი რისკი, რომელიც კიდევ უფრო გამწვავებულია უკრაინაში გაჭიანურებული ომის შედეგებით - ყველა 2023 წლის პერსპექტივის **რისკ-ფაქტორებია**.




Research

\* 2020 წელს საქსტატის სამუშაო ძალის გამოკვლევის მეთოდოლოგიის ცვლილების გამო 1998-2009 წლის მონაცემები არაა შესაძლებელი 2010-2022 წლის მონაცემებთან. შესაბამისად, ეს განცხადება არ მოიცავს ძველი მეთოდოლოგიის მიხედვით მოკვლეულ 1998-2009 წლებს.



# 2022 წლის მოულოდნელი ზრდა: ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით \*საბაზო სცენარი



- 2022 წლის დეკემბერში ფინანსთა სამინისტრომ განაახლა 2022 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება. ამ შეფასების მიხედვით, ყველა მაჩვენებელი, გარდა ინფლაციისა, **მოსალოდნელზე უკეთეს შედეგს** აჩვენებდა.
- **მთავრობის ვალი პროცენტულად მშპ-სთან** 2022 წლის წინასწარი მონაცემებით იყო 39.6%, რაც **პანდემიამდელ** მაჩვენებელზე დაბალია.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




Research



# BAG ინდექსი: საქართველოს ბიზნეს კლიმატი

## BAG ბიზნეს კლიმატი




- 2021 წლის III კვარტლიდან მოყოლებული, გამოკითხულმა კომპანიები დადებითად აფასებდნენ მიმდინარე მდგომარეობას და ოპტიმისტური მოლოდინი ჰქონდათ მომავალ პერიოდთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უკრაინაში ომისა, კომპანიების მიმდინარე მდგომარეობის შეფასება გაუმჯობესდა და პოზიტიური დარჩა პანდემიამდელ დონეს 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში.
- 2022 წლის მეოთხე კვარტალში, 2022 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, კომპანიების მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში და გაუარესდა წარმოებისა და ვაჭრობის სექტორებში. რაც შეეხება მოლოდინის მაჩვენებელს, 2022 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული მშენებლობის სექტორში, ხოლო გაუარესებულია მრეწველობის სექტორში.



# იფი ინდექსი: საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

## საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



- ქართული კომპანიების მსგავსად, ქართველმა ეკონომისტებმაც დადებითად შეაფასეს ეკონომიკური კლიმატი 2022 წლის მეოთხე კვარტალში.
- 2022 წლის მეოთხე კვარტალში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ეკონომისტების მხრიდან გაუმჯობესდა, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც კომპანიების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით უარყოფითი იყო.







# ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: მთლიანი შიდა პროდუქტი

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 2022 წელს						
ეკონომიკური საქმიანობის სახეები	კვარტალი			სამი კვარტლის ჯამი		
	III კვ. 2022 (მლნ. ლარი)	III კვ. 22/21	III კვ. 22/19	I-III კვ. 2022 (მლნ. ლარი)	I-III კვ. 22/21	I-III კვ. 22/19
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	2500.3	8.8%	11.6%	6575.1	3.2%	13.1%
დამამუშავებელი მრეწველობა	1922.1	5.5%	3.5%	5144.7	9.9%	16.1%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1628.0	-6.3%	0.1%	4360.3	-3.3%	2.8%
მშენებლობა	1304.1	20.3%	19.4%	3240.8	21.0%	31.7%
ტრანსპორტი და დასაწყობება	1144.8	<b>29.0%</b>	<b>29.4%</b>	2908.2	<b>28.6%</b>	<b>25.6%</b>
ინფორმაცია და კომუნიკაცია	875.8	<b>74.9%</b>	<b>131.5%</b>	2029.9	<b>45.1%</b>	<b>93.7%</b>
განათლება	624.0	2.5%	13.0%	2023.8	5.3%	<b>25.7%</b>
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	831.1	11.7%	-20.8%	1728.3	<b>20.6%</b>	-15.1%
მშპ საბაზრო ფასებში	19284.3	9.8%	12.0%	51191.2	10.3%	14.8%

\*გამუქებული მონაცემები აღნიშნავენ საშუალოზე მაღალ მაჩვენებლებს

- რეალური მშპ 2022 წლის III კვარტალში გაიზარდა **9.8%**-ით 2021 წლის III კვარტალთან შედარებით და გაიზარდა **12.0%**-ით 2019 წლის III კვარტალთან შედარებით. ანალოგიურად, 2022 წლის სამი კვარტლის ჯამი 2021 და 2019 წლებთან შედარებით გაზრდილია.
- 2022 წლის პირველ სამ კვარტალში, 2021 და 2019 წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო **ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორის** ზრდით. ასევე, აღსანიშნავია ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორის მკვეთრი ზრდა, რომელიც სავარაუდოდ „**შუა დერეფნის**“ მზარდმა მნიშვნელობამ განაპირობა.




Research



# ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ინფლაცია

სამომხმარებლო კალათის კატეგორიების კონტრიბუცია ყოველთვიურ წლიდან წლამდე ინფლაციის მაჩვენებელში, პროცენტული პუნქტი



- 2022 წლის იანვრიდან ნოემბრამდე, საქართველოში ინფლაციის დონე **ორნიშნა** იყო, თუმცა 2022 წლის დეკემბერში ის 9.8%-მდე შემცირდა.
- ინფლაციის მთავარი მიზეზი **საკვები და უალკოჰოლო სასმელებია**, ხოლო ჯანდაცვა ხელს უწყობს ინფლაციის კლებას.




Research





# ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ინფლაცია

სამომხმარებლო კალათის კატეგორიების კონტრიბუცია საშუალო ყოველთვიურ YoY ინფლაციაში მოცემულ წელს, პროცენტული პუნქტი (2018-2022)




- 2022 წელს, **საკვებისა და უალკოჰოლო სასმელების** ფასების ზრდა ინფლაციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო, რაც ომის შედეგად მიწოდების ჯაჭვების დარღვევით იყო გამოწვეული. ასევე, **ფასები გაზრდილია საცხოვრებელ სახლზე**, რაც შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო (ძირითადად რუსი) მიგრანტების დიდი რაოდენობით შემოსვლით.




# BAG ინდექსი: ფასები


### ვაჭრობის სექტორი




### მომსახურების სექტორი



### მრეწველობის სექტორი



### მშენებლობის სექტორი





■ გაიზრდა ■ უცვლელი ■ შემცირდა

- 2022 წლის მეოთხე კვარტალში BAG ინდექსის მიხედვით, გამოკითხული კომპანიების 22%-მა გაზარდა გაყიდვების ფასები. ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია მშენებლობის სექტორში აფიქსირებს, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს რუსეთ-უკრაინის ომის გამო სამშენებლო მასალებზე ფასის გაძვირებას და/ან უძრავ ქონებაზე მოთხოვნის გაზრდას.
- ფასების ზრდის დინამიკა ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში შეინიშნება, ვინაიდან არცერთ გამოკითხულ კომპანიას არ დაუფიქსირებია ფასების ზრდა თავიანთ პროდუქციაზე 2022 წლის IV კვარტალში.




# ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები და მონეტარული პოლიტიკა



- 2022 წლის დეკემბერში **ოფიციალური სარეზერვო აქტივები** გაიზარდა 14.7%-ით 2021 წლის დეკემბერთან შედარებით და მიაღწია ყველა დროის უმაღლეს მაჩვენებელს 4.9 მილიარდ აშშ დოლარს. საერთაშორისო რეზერვების ზრდა განპირობებული იყო სებ-ის მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვით.
- უკვე 10 თვის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა შეინარჩუნა **მკაცრი მონეტარული პოლიტიკა** და რეფინანსირების განაკვეთი **11.0%**-ზე დატოვა ინფლაციურ ზენოლის საპასუხოდ. **სებ-ის მიხედვით**, პოლიტიკის შერბილება დაინწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინფლაციის რეალური დონე მიზნობრივ დონეს მიუახლოვდება.



## შრომის ბაზრის მაჩვენებლები




- 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, **სამუშაო ძალა** გაიზარდა 17,960 ადამიანით, ხოლო **უმუშევრობის დონე** 2022 წელს რეკორდულად დაბალ - 17.3%-მდე შემცირდა.
- 2022 წელს საქართველოში **15+ მოსახლეობის** საერთო რაოდენობის საშუალო წლიური მაჩვენებელი პირველად ჩამოცდა 3 მილიონს და 2,989 ათასამდე შემცირდა.
- 2022 წლის მეოთხე კვარტალში, BAG ინდექსის მიხედვით, **სპეციალისტების ნაკლებობა** ბიზნესსაქმიანობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი **ხელის შეშლელი ფაქტორია**. ასევე, გამოკითხული კომპანიების 24.5%-მა აღნიშნა, რომ **თავიანთ კომპანიაში დაასაქმა** რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოში დროებით მცხოვრები **უცხოელები**.

ათასი კაცი	III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022
<b>სამუშაო ძალა</b>	1536.1	1490.7	1551.5	1609.4	1554.7
<b>დასაქმებული</b>	1244.2	1201.1	1269.9	1358.6	1305.2
<b>მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ</b>	1465.1	1496.3	1458.9	1396.8	1397.4
<b>უმუშევარი</b>	291.9	289.6	281.6	250.7	249.5
<b>სულ 15+ მოსახლეობა</b>	3001.2	2987.0	3010.4	3006.2	2952.1



# შრომის ბაზარი: დასაქმება


დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით  
(2022 I-III კვ.)



- 2022 წლის III კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით დასაქმება განათლების სფეროს გარდა ყველა სექტორში გაიზარდა. ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში (17%), ხოლო განათლების სექტორში დასაქმება 31%-ით შემცირდა.
- ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში დასაქმებულთა ასეთი ზრდა, მათ შორის, შესაძლოა, აიხსნას უცხოელი მოქალაქეების გაზრდილი კონცენტრაციით. უძრავი ქონებისა და განთავსება და საკვების მიწოდების სექტორული ზრდა შეიძლება აიხსნას ვიზიტორების მიერ სტიმულირებული მოთხოვნით.
- BAG დასაქმების ბარომეტრმა შეინარჩუნა მზარდი ტენდენცია და პოზიტიური დარჩა ყველა გამოკვლევული სექტორისთვის.



## ადამიანთა საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს



- 2022 წელს **599 ლარამდე** ხელფასის მიმღებთა წილი საშუალოდ **23%** იყო, ხოლო **2400 ლარზე** მეტი ხელფასის მიმღებთა წილი საშუალოდ **19%**.
- 2022 წელს ხელფასის მიმღებთა საშუალო რაოდენობა 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაახლოებით **21,100-ით** გაიზარდა.

\* შემოსავლების სამსახურის მიერ მონოდედებული მონაცემები არ არის საბოლოო და, შესაძლოა, ოდნავ გაიზარდოს. (ბოლო ინფორმაცია 22.02.2023).


\*\*დეკემბერში ხელფასის წილის შემცირება 0-599 და 600-1199 ლარის კატეგორიებში, სავარაუდოდ, განპირობებული იყო ზოგიერთი დასაქმებულისთვის მე-13 ხელფასის ჩარიცხვით.





## შრომის ბაზარი: ვაკანსიები

Jobs.ge-ს პლატფორმაზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა




- მიუხედავად იმისა, რომ ვაკანსიების რაოდენობა 2022 წლის ყველა კვარტალში იზრდებოდა 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მისი წლიური ზრდის მაჩვენებელს შესამჩნევი კლების ტენდენცია აღენიშნება.





## საქართველოს ექსპორტი-იმპორტი და მათი ზრდის ტემპი YoY (2018-2022\*)




- 2022 წელს საქართველოში **საგარეო სავაჭრო ბრუნვა** 19 მილიარდი აშშ დოლარი იყო, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე **32.8%-ით** მეტია.
- 2022 წელს საქართველოს **ექსპორტი** 5.6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც **33.2%-ით** მეტია 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამავდროულად, საქართველოში 2021 წელთან შედარებით **იმპორტი 31.8%-ით გაიზარდა** და 13.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.
- 2022 წელს საქართველოს **სავაჭრო დეფიციტი** გაიზარდა **2 მილიარდი აშშ დოლარით** (34.1%).



# საგარეო სექტორი: ვაჭრობა

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან, ჩინეთთან და ევროკავშირთან (2018-2022\*)




- 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, **სავაჭრო ბრუნვა** გაიზარდა რუსეთთან (52.3%-ით), ევროკავშირთან (29.3%-ით) და ჩინეთთან (25.8%-ით).
- 2022 წელს საქართველოს მთავარი **ორმხრივი საექსპორტო პარტნიორები** იყვნენ ჩინეთი (13.2%), აზერბაიჯანი (12.0%) და რუსეთი (11.7%). იმავე პერიოდში, მისი ძირითადი **ორმხრივი იმპორტის პარტნიორები** იყვნენ თურქეთი (17.6%), რუსეთი (13.6%) და ჩინეთი (8.4%).
- მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ვაჭრობის მოცულობა 2020 წლიდან 2022 წლამდე იზრდებოდა, მისი წილი **საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში** მცირდებოდა. ამ წლებში კი რუსეთის წილი სტაბილურად იზრდებოდა.



# ზრდის ძირითადი ფაქტორები: ტურიზმი

შიდა და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა და მათი შედარება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან




- 2022 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის აღდგენის ტენდენცია საყურადღებო იყო. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა სრულად არ აღმდგარა პანდემიამდელ დონეზე, საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებულმა შემოსავალმა უკვე გადააჭარბა პანდემიამდელ დონეს.
- ამის საპირისპიროდ, შიდა ვიზიტების რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პანდემიამდელ დონეს იმავე პერიოდში.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



# ზრდის ძირითადი ფაქტორები: ტურიზმი

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი ქვეყნების მიხედვით  
(იანვარი-დეკემბერი 2022)



- 2022 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 182.5%-ით აღემატებოდა 2021 წლის მაჩვენებელს, ხოლო 7.6%-ით - 2019 წლის მაჩვენებელს.
- საანალიზო პერიოდის განმავლობაში რუსეთის წილი საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავალში იყო 23.7%, თურქეთის წილი - 11.2%, ხოლო ევროკავშირის - 10.8%.




Research





# ზრდის ძირითადი ფაქტორები: მიგრაცია

## რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლისა და გასვლის რაოდენობები და მათ შორის სხვაობა



- უკრაინა-რუსეთის ომის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება საზღვრის კვეთის მაჩვენებლებში რუსეთის, ბელარუსის და უკრაინის მოქალაქეების გასვლისა და შემოსვლის მაჩვენებლებში.
- 2022 წლის თებერვლიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით, განსხვავება რუსეთის მოქალაქეების შემოსვლასა და გასვლას შორის 51 ათასი უნიკალური პირი იყო. იმის მიუხედავად, რომ 2019 წელს, 2022 წელს შედარებით, რუსეთის მოქალაქეების შემოსვლისა და გასვლის მაჩვენებელი უფრო დიდი იყო, 2022 წელს ამ ორს შორის სხვაობა გაცილებით მაშტაბური იყო (60 ათასი) ვიდრე 2019 წელს (-3 ათასი).


\* აღსანიშნავია, რომ 2022 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, განსხვავება უკრაინელებისა და ბელარუსების შესვლებისა და გასვლების მაჩვენებლებს შორის, შესაბამისად, 11 და 6 ათასი იყო, რუსებისთვის კი - 59 ათასი. PMC RC-მა ვერ შეძლო სტატისტიკის განახლება უკრაინელებისთვისა და ბელარუსებისთვის 2022 წლის სექტემბრის შემდეგ, რადგან ოფიციალურად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია შესვლისა და გასვლის შესახებ ორგანიზაციისთვის არ მოუწოდებიათ. ასევე, 2023 წლიდან საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკა აღარ გამოქვეყნდება ყოველთვიურად, რაც გამოწვეულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვრის კვეთის სტატისტიკის კვარტალურად გამოქვეყნების ახალი წესის მიღებით.



Research



# საგარეო სექტორი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



• 2022 წლის III კვარტალში, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა პირველი კვარტლის რეკორდულ მაჩვენებელს გადააჭარბა და მიაღწია 745 მილიონ აშშ დოლარს, რაც ისტორიულად ყველაზე დიდი მოცულობის კვარტალური მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება 2022 წლის III კვარტალში 99%-ით მეტი იყო 2021 წლის III კვარტალთან, ხოლო 151%-ით მეტი 2020 წლის III კვარტალთან შედარებით.

• ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დაფიქსირდა უძრავი ქონების ინდუსტრიაში, ჯამში 265 მილიონი აშშ დოლარი, მეორე ადგილზე კი ფინანსური სექტორია - 159 მილიონი აშშ დოლარით.

• რეინვესტირებამ მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (745 მილიონი აშშ დოლარი) 60% შეადგინა (446 მილიონი აშშ დოლარი). კაპიტალის დაბანდება 226 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო სავალ ვალდებულებები იყო 72,4 მილიონი აშშ დოლარი.




Research



# ზრდის ძირითადი ფაქტორები: ფულადი გზავნილები

### ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით



- **ფულადი გზავნილები** 2022 წელს წინა წლებთან შედარებით **მკვეთრად გაიზარდა**. უფრო კონკრეტულად, ზრდამ 2021 წელთან შედარებით **86%** შეადგინა, 2020 წელთან შედარებით - 132%, 2019 წელთან შედარებით კი - 152%.
- **რუსეთიდან ფულადი გზავნილები** 2021 წელთან შედარებით **403%-ით** გაიზარდა, რაც, ძირითადად, უკრაინაში მიმდინარე ომმა და მისმა თანმხლებმა მოვლენებმა გამოიწვია.
- მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან ფულადი გზავნილები მკვეთრად გაიზარდა 2022 წელს, ზრდის გარკვეული წილი არბიტრაჟის დამსახურებაა, რომელიც დეტალურადაა აღწერილი მაკრო მიმოხილვის მე-2 გამოცემაში (საგარეო სექტორი: ფულადი გზავნილები).

\*ამ გრაფიკში ცენტრალური აზიის ქვეყნები მოიცავს ყაზახეთს, ყირგიზეთის რესპუბლიკას, ტაჯიკეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს.




Research



# ზრდის ძირითადი ფაქტორები: ფულადი გზავნილები

### ქვეყნების წილი მთლიან ფულად გზავნილებში



■ რუსეთის ფედერაცია ■ იტალია ■ აშშ ■ საბერძნეთი ■ ისრაელი ■ თურქეთი ■ სხვა ქვეყნები

- 2019-2021 წლების პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილების **კლების ტენდენცია** შეინიშნებოდა, რაც რადიკალურად შეიცვალა 2022 წელს - რუსეთიდან ფულადი გზავნილების წილი მთლიანი ფულადი გზავნილების 47% იყო.
- ომის დაწყებიდან ფულადი გზავნილებში **რუსეთის** წილი საგრძნობლად გაიზარდა. თებერვალში ეს მაჩვენებელი 12%-ს შეადგენდა, მაისში კი პიკს მიაღწია და 62%-მდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობა გაიზარდა, მათი წილი შემცირდა რუსეთიდან ფულადი გზავნილების მკვეთრი ზრდის ფონზე.



# გლობალური ეკონომიკური ტენდენციები: ზრდის შენელება

- 2022 წლის პირველ ნახევარში გლობალური ეკონომიკა მოსალოდნელზე მეტად შენელდა, რასაც თან ერთვოდა მაღალი ინფლაცია.
  - 2022 წელს ეკონომიკის მდგომარეობას განსაზღვრავდა შემდეგი ფაქტორები: რუსეთ-უკრაინის ომი, საცხოვრებელი ხარჯების ზრდა, რეგიონების უმეტესობაში გაუარესებული ფინანსური პირობები და გაჭიანურებული კოვიდ-19 პანდემია.
  - თუმცა 2022 წლის მეორე ნახევარში ეკონომიკური ზრდა გარკვეულწილად მდგრადი იყო, რაც განპირობებული იყო ძლიერი შრომის ბაზრით, ძლიერი შინამეურნეობების მოხმარებით, ბიზნესის ინვესტიციებითა და ევროპის მოსალოდნელზე უკეთესი ადაპტაციით ენერგეტიკულ კრიზისთან.
  - 2022 წლის მეორე ნახევარში ტრანსპორტის დანახარჯების შემცირებამ, გლობალურმა ფინანსურმა პირობებმა და, შესაბამისად, დაბალმა ინფლაციამ განვითარებად ქვეყნებზე წნეხი შეამსუბუქა. ასევე, ამ ფაქტორებს დაემატა აშშ დოლარის შესუსტება ნოემბრის მაჩვენებელთან შედარებით.
- 
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) „World Economic Outlook“-ის იანვრის გამოცემის მიხედვით, 2023 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2.9% იყო, რაც 0.5 პპ-ით ნაკლებია 2022 წლის ზრდის მაჩვენებელზე. შესაბამისად, IMF 2023 წელს შედარებით მცირე ზრდას ელოდება. აღსანიშნავია ისიც, რომ IMF-მა 2022 წლის ოქტომბრის გამოცემასთან შედარებით 2023 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0.2 პპ-ით გაზარდა.
  - 2023 წელს გაურკვევლობას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:
    - შესაძლოა, შენარჩუნდეს ინფლაციის მაღალი დონე, მზარდი ხელფასების ფონზე, რაც მჭიდრო მონეტარულ პოლიტიკასა და აქტივობის უფრო მკვეთრ შენელებას გამოიწვევს.
    - ენერგეტიკისა და სურსათის ბაზრის დესტაბილიზაცია რუსეთ-უკრაინის ომის ესკალაციის ფონზე.
    - ჩინეთის აღდგენა შესაძლოა შეჩერდეს COVID-19 ინფექციის შედეგად მოსალოდნელზე მეტი ეკონომიკური შეფერხებების ფონზე.
  - დადებით მოლოდინებს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:
    - მოსალოდნელია, რომ კერძო მოთხოვნის მაღალი დონე შენარჩუნდება შინამეურნეობების ძლიერი ბალანსის, მჭიდრო შრომის ბაზრისა და ხელფასების მყარი ზრდის ხარჯზე. თუმცა, აღსანიშნავია, ეს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას პოტენციურად ართულებს.
    - მიწოდების ჯაჭვის შეფერხებების დაძლევა, ჩინეთში მკაცრი შეზღუდვების მოხსნა და შრომის ბაზრის გაუმჯობესება ვაკანსიების შემცირების ხარჯზე.





# ეკონომიკური ზრდა საქართველოში: მოლოდინი 2023 წლისთვის

## რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზები საქართველოში 2023

ორგანიზაცია	ძველი მოლოდინები, I-II კვ.	განახლებული მოლოდინები III-IV კვ.
ADB	5.0%	6.0%
EBRD	-	5.0%
IMF	-	4.0%
საქართველოს მთავრობა	5.0%	5.0%
World Bank	5.5%	4.0%
ეროვნული ბანკი	5.0%	4.0%
თიბისი კაპიტალი	-	5.0%
გალტ & ტაგარტი	5.0%	4.8%

• საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზები 2023 წლისთვის საბაზისო სცენარში 4%-დან 6%-მდე მერყეობს. ხოლო ალტერნატიული სცენარების მიხედვით, მშპ-ს ზრდა 1%-დან (სებ-ის პესიმიისტური სცენარი) 6.3%-მდე (საქართველოს მთავრობის ოპტიმიისტური სცენარით) მერყეობს.

• ორგანიზაციების პროგნოზით, მშპ-ს ზრდა 2023 წელს 2022 წელთან შედარებით უფრო სუსტი იქნება, რაც განპირობებულია მსოფლიო გამონვევებით სავსე 2023 წლითა და ფულადი გზავნილების და ემიგრანტების მხრიდან მაღალი მოთხოვნის დადებითი ზემოქმედების სავარაუდო შემცირებით.








# 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (2022 დეკემბრის პროგნოზი)



- 2022 წლის დეკემბერში ფინანსთა სამინისტრომ განაახლა 2023 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები.
- ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის დეკემბრის პროგნოზის მიხედვით, 2023 წელს ეკონომიკური ზრდა შენელებულია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკა 2022 წელს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის ივნისის პროგნოზზე მეტად გაიზარდა.



# სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში არაფერი არ წარმოადგენს ან გულისხმობს რაიმე სახის რჩევას და შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე და ცნობს შესაბამის რისკებს. PMC კვლევითი ცენტრი არ იქნება პასუხისმგებელი მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება; ან რომ
- პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევის ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ზიანის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასთან ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესაზებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევარებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიების, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

**გიორგი ხიშტოვანი**  
კვლევითი დირექტორი  
[g.khishtovani@pmcginternational.com](mailto:g.khishtovani@pmcginternational.com)

**ნიკა კაპანაძე**  
მკვლევარი  
[n.kapanadze@pmcginternational.com](mailto:n.kapanadze@pmcginternational.com)

**სოფო ბასილიძე**  
მკვლევარი  
[s.basilidze@pmcginternational.com](mailto:s.basilidze@pmcginternational.com)

**ნიკოლოზ ბაქრაძე**  
უმცროსი მკვლევარი  
[n.bakradze@pmcginternational.com](mailto:n.bakradze@pmcginternational.com)

**ანასტასია ჩხენკელი**  
უმცროსი მკვლევარი  
[a.chkhenkeli@pmcginternational.com](mailto:a.chkhenkeli@pmcginternational.com)

**ნანა ქაჯაია**  
უმცროსი მკვლევარი  
[n.kajaia@pmcginternational.com](mailto:n.kajaia@pmcginternational.com)

**შოთა მაჭარაშვილი**  
კვლევითი ასისტენტი  
[sh.matcharashvili@pmcginternational.com](mailto:sh.matcharashvili@pmcginternational.com)

**დალი ნაქაძე**  
კვლევითი ასისტენტი  
[d.tsakadze@pmcginternational.com](mailto:d.tsakadze@pmcginternational.com)

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.  
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181  
ელ. ფოსტა: [research@pmcginternational.com](mailto:research@pmcginternational.com)  
ვებსაიტი: [pmcresearch.org](http://pmcresearch.org)



Research